

**ილია ჭავჭავაძე ათონისათვის ბრძოლაში:
ივირონის დანიშნულება და ქართულ-ბერძნული დავა**

მერაბ ლაღანიძე

1

საუკუნეთა განმავლობაში ათონის სამონასტრო ერთობა ბიზანტიური სამუაროს სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შუაგული იყო, სადაც ამ სამუაროს სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლები, — რომელთა შორის ერთ-ერთი პირველები ქართველები იყვნენ, — ქრისტიანული სამონაზვნო ცხოვრების მისწრაფებებს ახორციელებდნენ და ამკვიდრებდნენ.

მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ათონური სულიერების გეოგრაფიული და კულტურული ჰორიზონტი არ შემოიფარგლებოდა ოდენ აღმოსავლურქრისტიანული საზღვრებით: მაშინ, როდესაც ათონის მთაზე პირველმა ქართველმა მონაზვნებმა დაიწყეს მოღვაწეობა, იქ — აღმოსავლური წესის სავანეთა გარდა, რომელთა შორის იყო ქართველთა მონასტერი „ივირონი“, — საფუძველი დაედო დასავლურ-ლათინურ მონასტერსაც, სადაც ბენედიქტელი მოწესენი მკვიდრობდნენ (გიორგი ათონელის სიტყვებით, ისინი „*კეთილად და წესიერად ცხოვნდებიან კანონსა და განგებასა ზედა წმიდისა ბენედიქტესსა*“ [ძეგლები, II 1967: 65]). თვალშისაცემია, რომ ათონზე ლამის იმთავითვე ჩამოვარდა უთანხმოება ქართველებსა და ბერძნებს შორის, თუმცა, როცა კი ივირონის მკვიდრთ შემთხვევა მიეცემოდათ, ისინი მეგობრობას გამოხატავდნენ დასავლელ თანამოდმეთა მიმართ (ამის დასტურია თუნდაც გიორგი ათონელის „*იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში*“ მოხსენიებული ღირსშესანიშნავი მეგობრობა ორ ათონელს, ქართველ გაბრიელსა და რომაელ ლეონს, ბენედიქტელ მონაზონს, შორის, რომელთა ურთიერთობისათვის არც ენობრივ და არც ეროვნულ განსხვავებას არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია, რაკი მათ „*ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი*“ [იხ. ძეგლები, II 1967: 66]).

გვიანდელ ხანაშივე ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ნათლად იყო გააზრებული ათონის სამონასტრო კერის სულიერი ღირებულება და იქ მოღვაწე ქართველ ბერთა სულიერი და ინტელექტუალური ღვაწლი, მაგრამ, ამავე დროს, ნელ-ნელა ფერმკრთალდება ისტორიული და აქტუალური განცდა იმისა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ივირონში ოდესღაც გაღვივებულ კულტურულ-სამწიგნობრო საქმიანობას. თუმცა ასწლეულების მანძილზე თითქმის არასოდეს ცხრება ქართულ-ბერძნული დაპირისპირების სიმწვავე, რაც დაუფარავად გამოიხატებოდა როგორც ცხოვრებისეულ, ისე სიტყვიერ ასპარეზზე.

XIX-XX საუკუნეების საქართველოში საზოგადოების სეკულარიზაციამ და საზოგადოებრივ ცნობიერებაში სეკულარული ფასეულობების მუარმა ფეხისმოკიდებამ განაპირობა ათონისეული სულიერი მოწოდების სულ უფრო ნაკლები გაცნობიერება და მისი თანდათანობითი დაჩრდილვა. ამ გარემოში ნელ-ნელა მკვიდრდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ათონის ქართველთა მონასტერი უწინარესად წარმოდგენილია როგორც ქართული ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრებისა და გამოხატულების ადგილი. ამგვარი აღქმა ბუნებრივად უპირისპირდება ათონური სამონაზვნო ცხოვრების მიზანდასახულობის ბერძნულ და, ზოგადად, ბიზანტიურ თუ პოსტიბიზანტიურ გაგებას. გასათვალისწინებელია, რომ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სწორედ ამ ხანებში იწყებს მოძღვრების მიერ თუ ქმედით, პრაქტიკულ ბრძოლას ეგრეთ წოდებული ფილეთიზმის, ანუ საეკლესიო ცხოვრებაში ნაციონალიზმის შემოტანისა და ნაციონალურ ნიადაგზე გამიჯვნათა, წინააღმდეგ (ბერძენთა მხრივ ფილეთიზმთან ბრძოლამ განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა ავტოკეფალიისათვის მებრძოლ ბულგარელებთან მეტად გამწვავებული ურთიერთობის ტალღაზე).

თუ XIX საუკუნის ქართული საზოგადო თვალთახედვითაც, ივირონი მნიშვნელოვანწილად „მეცნიერების და მწიგნობრობის ლამპრის“ (აკაკი წერეთელი) ასაგიზგიზებლად დაფუძნდა, კომუნისტურ-ათეისტური იდეოლოგიის პირობებში კიდევ უფრო მეტად იყო უგულვებელყოფილი მონასტრის სულიერი მნიშვნელობა, მაგრამ, ამავე დროს, ხაზგასმით გამოიკვეთებოდა საგანმანათლებლო დანიშნულება ივირონისა, რომელიც, ისევე როგორც ნებისმიერი ქართული მონასტერი საქართველოში თუ საზღვარგარეთ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მწიგნობრობისა და კულტურული საქმიანობის კერად ცხადდებოდა¹.

2

როგორც მასალა ადასტურებს, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა უწყურადღებოდ არ ტოვებდა ათონზე და ათონის გარშემო გაჩაღებულ ქართულ-ბერძნულ დავას, რომელშიც — იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების გამო — ჩართულნი აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის სასულთნოს ხელისუფლებათა წარმომადგენლებიც (რაკი საქართველო იმჟამად რუსეთს ეკუთვნოდა, ათონის მთა კი — ოსმალეთს). გაზეთი „ივერიაც“, სხვა ქართულ გამოცემათა მსგავსად, საკმაოდ ხშირად ეხმიანებოდა ათონელ ქართველ მოწესეთა როგორც ადრეულ თუ იმდროინდელ (შეჭირვებულ!) მდგომარეობას, ისე ქართული მემკვიდრეობის საკითხს წმიდა მთაზე თუ მთის გარეთ (მდრ. [ჭუმბურიძე 1983: 230-245]).

1 ათონის ქართველთა მონასტრის — ივირონის — ათასწლოვანი ისტორიის მოკლე, მაგრამ აქამდე ყველაზე სრული გადმოცემა, ვრცელი აკადემიური ბიბლიოგრაფიითურთ, ეკუთვნის ლევან მენაბდეს [მენაბდე, II 1980: 185-247; 378-404].

ამგვარ გამომხმაურება-შეფასებათა შორისაა ერთი საგაზეთო პუბლიკაცია, რომელიც, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და რომელიც გაგრძელებით, მიყოლებით გამოქვეყნდა მოწინავე წერილების სახით 1886 წლის ნოემბერში „ივერიის“ ორ ნომერში. მართალია, პუბლიკაცია ანონიმურია, მაგრამ გამომცემლები საკმაოდ დამაჯერებლად მიიჩნევენ, რომ მისი ავტორი გაზეთის თავად რედაქტორია [ჭავჭავაძე, VIII 1957: 358; ჭავჭავაძე, VIII 2007: 679]. ტექსტი ილია ჭავჭავაძეს პირველად მიაკუთვნა პავლე ინგოროყვამ და მანვე პირველად შეიტანა მწერლის თხზულებათა კრებულში [ჭავჭავაძე, VIII 1957: 305-311]; ინგოროყვასეულია — და არა ავტორისეული — თავდაპირველად უსათაურო ტექსტის სახელწოდებაც: „ათონის ქართული სავანის შესახებ“.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ტექსტის სათაური მთლიანობაში არ მოიცავს იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც ილია წერს: თავის პუბლიკაციაში იგი შეეხება როგორც ათონის, ისე იერუსალემის ქართულ სავანეებს, ან უფრო ზუსტად, მსჯელობს იერუსალემის საპატრიარქოსადმი ქართული საკუთრების ოდინდელი დროებითი გადაცემისა და ამ საკუთრების ნაწილის გაყიდვის შესახებ, — იგულისხმება საქართველოში ქართული მიწების გასხვისება, — რაც იმჟამად წამოუწყია ბერძენ სამღვდელთა. სამართლებრივ საბუთებზე დაყრდნობით, ილია მიიჩნევს, რომ ბერძენთა ეს ქმედება უკანონოა, ხოლო ამ უკანონობის წინაშე პირუთვნელ განმსჯელებად და ჩაგრულთა მფარველად იგი — ათონელ ქართველ მოწესებთან თანახმიერად — რუსეთის ხელისუფლებას მიიჩნევს. მთელი მსჯელობა ამ არცთუ ვრცელ ისტორიულ-პუბლიცისტურ წერილში ისტორიულადაც და სამართლებრივადაც უთუოდ საფუძვლიანია, თუმცა ოდნავ ბუნდოვანი რჩება, რატომ აღმოჩნდნენ წმიდა მიწის ქართულ საკუთრებათა დამცველნი და მოსარჩლენი წმიდა მთის ბერ-მონაზონნი... ტექსტის ორივე ნაწილის კითხვისას რამდენადმე იმგვარი შთაბეჭდილებაც კი რჩება, რომ ათონისა და იერუსალემის არც ქართული მონასტერი (თუ მონასტრები), არც საკუთრება, არც მოწესენი არც არიან გამიჯნულნი ერთმანეთისაგან (თუმცა თუ წმიდა მთაზე ქართველი მოწესენი XX საუკუნის შუა ხანებამდე ბინადრობდნენ, — მღვდელმონაზონი ტიხონ ფალავა 1956 წელს გარდაიცვალა, — წმიდა მიწაზე მათი კვალი ბევრად ადრე უჩინარდება და, როგორც ჩანს, სავარაუდოდ უკანასკნელი ქართველი მკვიდრი მონაზონი იერუსალემში, არქიმანდრიტი გერასიმე დოგრაშვილი, 1868 წელს გარდაცვლილა [მენაბდე, II 1980: 132]).

მაგრამ ილიასეული ამ ტექსტიდან საზოგადოებრივი ცნობიერების ისტორიისათვის არსებითი, მნიშვნელოვანი და ფასეულია არა იმდენად მიწის მფლობელობის ან გაყიდვის კონკრეტულად საჭირობოროტო საკითხი, რომელსაც გამოუწვევია „ივერიის“ ორი მოწინავე წერილი, რამდენადაც ის, თუ ა) რის კერად მიაჩნია ილიას ქართული მონასტრები; ბ) როგორ ესახება მას საზღვარგარეთ მიტოვებულ-დაკარგულ ქართულ სავანეთა დაბრუნების საქმეში რუსეთის ხელისუფლების როლი; გ) როგორ აღიქვამს იგი და როგორ მიჯნავს ერთმანეთისაგან ქართული მემკვიდრეობის მიმართ (ან,

ზოგადად, ქართულ საჭიროებათა მიმართ) „თანამორწმუნე“ ბერძნებისა და რუსების დამოკიდებულებას.

თვალშისაცემი და საყურადღებოა, რომ ილია ერთხელაც არსად ლაპარაკობს ათონის ქართველთა მონასტრის კულტურული ან ლიტერატურული მნიშვნელობის შესახებ. იგი მეტად ნათლად ხედავს ამ კერის ან, საერთოდ, ქართული სავანეების უმთავრეს და უპირველეს — სულიერ! — მიზანსა და დანიშნულებას. როცა იგი ლაპარაკობს ქართველთა ღვაწლის შესახებ „ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმე“-ში [ჭავჭავაძე, VIII 2007: 545], ამ სწრაფვის ერთ-ერთ გამოხატულებად სწორედ ჭვექანაში თუ ჭვექნის გარეთ სულიერ მოღვაწეობას მიიჩნევს:

ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღყინებულნი² ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანის ნახევარკუნძული თვისდა ახლომახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის [ჭავჭავაძე, VIII 2007: 545];

გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია [ჭავჭავაძე, VIII 2007: 545];

ქართველთა თავგამეტებით და დიდის მხნეობით უღვაწიათ თავის ჭვექნის გარედაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა [ჭავჭავაძე, VIII 2007: 545].

როგორც ჩანს, ილია ამგვარადვე, უცვლელად, ხედავს ქართველთა სულიერი კერის დანიშნულებას შესაძლო მომავალშიც, რისთვისაც თანხმობით იმოწმებს თავის თანამედროვე ათონელ ქართველ მამებს:

იგი წმინდა ადგილები, საცა ქართველთა ხელით აშენებულნი ამოდენა სახსოვარნი ჰმოწმობენ საქართველოს შვილთა ჭეშმარიტს სარწმუნოებას, დიდებას მათის სარწმუნოების მოღვაწეობისას, და რომელნიც ამასთანავე თავმდებნი არიანო იმ იმედისა, რომ სიმტკიცე ქრისტიანულის გრძნობისა კვლავ უწინდელეზრ გაიშლება სახელოვან სასულიერო საქმეთათვისაო [ჭავჭავაძე, VIII 2007: 548].

ქართულ სავანეთა მიმართ ქართველ მეფეთა ნივთიერი დახმარებაც, რომლის შემკვიდრეობაც იმჟამად დავის საგანი გამხდარა ბერძნებთან, მიზნად ისახავდა,

რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარედ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა [ჭავჭავაძე, VIII 2007: 546].

² ინგოროყვასეულ გამოცემაში: აღყინებულნი [ჭავჭავაძე, VIII 1957: 305].

ნათელია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ილია სამონაზვნო ცხოვრებას ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად; ცხადია ისიც, რომ უთუოდ ნიშნულად მეტყველია ილიას დუმილი ივირონის ან, ზოგადად, ქართულ სავანეთა ნაციონალურ-კულტურული დანიშნულების შესახებ.

ძნელია იმ ტექსტში, რომელიც მწვავე საკითხზე საზოგადოებრივი (და არა იმდენად — პირადი) გამოხმაურებაა, — გამოხმაურება ათონელ ქართველ მოწესეთა მიმართვა-თხოვნაზე, — წერილის ავტორის კერძო მისწრაფებანი ამოვიკითხოთ, მაგრამ ნაწერის მღელვარე განწყობა სრულეზობით გამორიცხავს ავტორის გულგრილობას იმის მიმართ, რის შესახებაც იგი მსჯელობს და ვინძლო არა ოდენ განწყობა, არამედ დამოკიდებულებაც, რაც აგრერიგად მსჭვალავს ამ მცირე ზომის ტექსტს, ავტორისეულ იმ მიმართულ თუ ჩაკლულ სწრაფვასაც გამოხატავდეს, რომელმაც ილიას პირველ და ყველაზე სანდო ბიოგრაფს, გრიგოლ ყიფშიძეს, ეს სიტყვები დააწერინა:

რასაკვირველია, გარშემო ცხოვრებაშიაცა და თვით ილიას ბუნებაშიაც აღმოჩნდა არა ერთი და ორი გვარი, უფრო ცხოველი ძალა და წადილი, რომელმაც დასჩაგრა ეს მიდრეკილება, მაგრამ სამუდამოდ კი ვერ აღმოჭფხვრა მის გულიდან სიყვარული დუმილისა, მარტოდ-მარტო ყოფნისა, ბერობა-განდეგილობისა, იდეალურის ღვთისმსახურისა და სამღვთო კაცისა, რაც ბოლოს ისე მკაფიოდ გამოცხადდა ხანში შესვლის დროს. გამოცხადდა ჯერ „გლახის ნაამბობის“ დაწერითა [...], მერე გეორგ ებერსის იმ ისტორიულ რომანის თარგმანითა, რომელსაც ეწოდება „რამეთუ კაცი ვარ“ და რომლის შინაარსიც პირველ ქრისტიანე ბერ-მონაზონთა ცხოვრების აღწერას შეიცავს და ბოლოს „განდეგილის“ საოცარ სურათისა და ტრაგედიის შექმნითა [ყიფშიძე 1987: 40].

აღბათ, შესაძლებელია, რომ ანონიმურად გამოქვეყნებული ეს საგაზეთო პუბლიკაციაც ზემორე მოყვანილ ყიფშიძისეულ ნუსხას მივაკუთვნოთ როგორც კიდევ ერთი გაცხადება ასაკში შესული ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებისა სამონაზვნო ცხოვრების მიმართ...

ამ პუბლიცისტური ტექსტის დაბეჭდვამდე ორი წლით ადრე კი, 1884 წელს, გამოქვეყნდა მხატვრული ტექსტი, რომელშიც ათონის ქართველთა მონასტრის დაფუძნება პოეტური სიტყვით იყო გადმოცემული: აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“. პოეტის თვალსაზრისით, — თუნდაც გუხის განმსახდვრელ ამ მიწოდებებს პოემაში ბერი გაბრიელ სალოსი გამოთქვამდეს, — ჭალისის პირას ბრძოლისას მოპოვებული ნადავლით აგებული მონასტერი უნდა ემსახურებოდეს, პირველ ყოვლისა, იმას,

*რომ სუყოველდღე, წირვა-ლოცვის დროს,
იხსენებოდნენ ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა
ყოვლად წმინდისა დედის სახელსა,
რომ მის წილხვედრი მცირე ივერი*

*მსხვერპლს სწირავდეს მის მფარველს და მხსნელსა.
მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილთაშვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი! [წერეთელი, V 1956: 83]*

რაც უნდა მოულოდნელი იყოს, ასეთი საკვანძო განცხადებისას „თორნიკე ერისთავში“, ილიასეული ტექსტისაგან განსხვავებით, არაფერია ნათქვამი ათონელ მონაზონთა მომავალი ღვაწლის შესახებ ქრისტიანული სარწმუნოების „სადიდებლად და გასაძლიერებლად“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 546] და, ისევ ილიასაგან განსხვავებით, პოემის ამ სტრიქონებში აკაკი გამოკვეთს ივირონის ოდენ ნაციონალურ-კულტურულ დანიშნულებას (დაღუპული ქართველი მეომრების მოხსენიება-გახსენება; ღმრთისმშობლის მიმართ მისი წილხვედრი ერის ვედრება — სავარაუდოა, სწორედ ამ ერისათვის მფარველობის აღმოსაჩენად; ათონის ქართველთა მონასტერი როგორც კულტურული კერა, რომლის ნაღვაწი საუკუნეებს გადასწვდება)...

რაც შეეხება „ივერიის“ მოწინავე წერილების დაწერის უშუალო საბაზს, იმ ხანებში ქართველთაგან გაცხადებულ მოთხოვნას, რომ მონასტრები და მათი ქონება „დღეს იქნება თუ ხვალ, თავის ჭეშმარიტ პატრონებს უნდა ჩაჰბარდეს“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 551] ან ქართველ საზოგადოებაში — საეროთა თუ სამღვდელთა შორის — გაღვივებულ იმედს, რომ ბერძნებთან მრავალსაუკუნოვანი დავა ქართველების სასარგებლოდ გადაწყდება, ამ მოთხოვნასაც და იმედსაც ერთი მთავარი საყრდენი აღმოაჩნდა: რწმენა, რომ, „*ეხლა, როცა საქართველო შეადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას*“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 550], რუსეთი შემწეობას და თანადგომას აღმოუჩენს ადრე ბერძენთაგან მუდმივად დაჩაგრულ, იმხანად კი ხელმწიფე იმპერატორის მზრუნველობას მინდობილ ქართველ ჭვეშევრდომთ. ილიას სიტყვებით,

დღეს, როცა საქართველო ძლიერის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, ქართველთა მოღვაწეთა [...] დიდი იმედი და სასოება მიეცათ ქართველთა მონასტრების უკანვე დაბრუნებისა. დღეს იგი დღეაო, ამბობენ იგინი, რომელსაც ამოდენა ხანს მოველოდებოდით, რომ ჩვენი დიდი ხნის წყურვილი აგვესრულებინა და უკანვე დაგვებრუნებინა იგი წმიდა ადგილები [ჭავჭავაძე, VIII 2007: 548].

საქართველოს ყოფნა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ტექსტის ავტორს შესაძლო საწინდრად მიაჩნია, რომ მონასტრები ადრე თუ გვიან „*კვლავ ძლიერის რუსეთის მფარველობით უკან დაუბრუნდება ქართველ ბერ-მონაზვნებსა*“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 552].

ტექსტიდან, ამავე დროს, სრულიად დაუფარავად მჟღავნდება, თუ როგორ უყურებენ ქართველები — თუნდაც ათონელი მოწესეები, თუნდაც „ივერიის“ მოწინავე წერილების ავტორი — „*თანამორწმუნეთა თვისთა ბერძნებსა*“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 547]; ისიც ცხადად ჩანს, თუ ვინაა მოძალადე, როცა

ქართველთა საკუთრებას „ბერძნები³ ჰჩემულობენ“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 549] და როცა ოდინდელ პატრონს „ბერძნები დღეს აღარ უბრუნებენ მონასტრებს და მის მამულებს ჰყიდიან“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 549]. ხოლო რაკი „აშკარაა, რომ მამულები ბერძნებმა ვერ უნდა დაიკუთვნონ“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 549], „თანამორწმუნე“ ბერძენთა ქმედებას, რაც, სამართლებრივი მიდგომით, „მართლიერების დარღვევად უნდა ჩაითვალოს“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 550], ილია უყოყმანოდ უწოდებს „მტაცებლობას“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 552].

ილიასეულ ტექსტში თვალნათლივ ცნაურდება ორი მხარე ქართულ საჭიროებათა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით: თუ ერთ მხარესაა ამ საჭიროებათა სრული უგულვებლყოფისა და შეუნიღბავი ძალმომრეობის პოზიციაზე მდგომი იერუსალემის პატრიარქი ნიკოდიმე და კავკასიაში მისი წარმომადგენელი, არქიმანდრიტი კირ დამიანე, მათთან დაპირისპირებულნი უნდა აღმოჩნდნენ ქართველთა შესაძლო ქომანგი: კავკასიის მთავარმართებელი და რუსეთის სახელმწიფო კანცლერი (რომლის პერსონა, თუნდაც იმჟამად უკვე გარდაცვლილი თავადი გორჩაკოვის მოხსენების სახით, ისევ ქმედიოთა).

სტატიაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ (და ამ კონკრეტული შემთხვევის გამო მსჯელობისას, რა თქმა უნდა, არც წარმოშობილა ამის თქმის აუცილებლობა!), თუ სინამდვილეში რა მჭიდრო, ბუნებრივი, მემკვიდრეობითი კავშირი არსებობდა ბიზანტიურ იმპერიულ ცნობიერებასა და რუსულ იმპერიულ ცნობიერებას შორის; მასში არც ისაა შენიშნული (თუმცა იმჯერად არც ამის შენიშვნა იყო აუცილებელი!), რომ რუსული საზოგადოებრივი აზროვნება თუ პოლიტიკური იდეოლოგია რუსეთის იმპერიას ბიზანტიის იმპერიის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა, ხოლო ახალი რომის — კონსტანტინოპოლის იდეის გამგრძელებლად „მესამე რომს“ — მოსკოვს (თუნდაც პეტერბურგს) ხედავდა...

სტატიის დასასრული — რუსეთის მთავრობის სასიკეთო ჩარევის მოლოდინით აღსავსე — იმედიანია: „არა გვგონია, მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვოს და თვისი ძლიერი შემწეობა და მფარველობა არ გაუწიოს მთხოვნელთა. სასურველია, რომ ეს ჩვენი იმედი არ გამტყუნდეს“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 552].

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეული კრებულის გამომცემელთ მწერლის ნაწერებს შორის შეუტანიათ კიდევ ორი ტექსტი, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრისა და მისი საკუთრების საჭირობოროტო საკითხს შეეხება. ერთის სახელწოდებაა „ქართველთა ქონება ათონის მთაზე“ (1882) [ჭავჭავაძე, XV 2007: 306-308], ხოლო მეორეს რედაქციისმიერი სათაური აქვს მინიჭებული: „ქართული სამონასტრო მამულები ბერძენი ბერების სამსახურში“ (1896) [ჭავჭავაძე, XIII 2007: 207-209].

³ ტექსტში კორექტურაა: ბერძნები.

ილია ჭავჭავაძის ნაწერების ტექსტოლოგიისა და ატრიბუციის საკითხები სცილდება წინამდებარე ნაშრომის თემატიკის ფარგლებს, მაგრამ საფუძვლიან ეჭვს აღძრავს პირველი ტექსტის ილიასადმი მიკუთვნება, თუმცა სათქმელია, რომ გამოცემის რედაქციას ის ისედაც იმ ტომში შეუტანია, რომელსაც „სავარაუდონი“ ეწოდება. აღსანიშნავია, რომ „დროებაში“ 1882 წლის თებერვალში ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ამ ტექსტის ავტორად აქამდე სერგეი მესხი იყო მიჩნეული და ის შესულია სწორედ მის თხზულებათა კრებულში [მესხი, III 1964: 377-378]. ყოველ შემთხვევაში, ილიასათვის სხვა თვალნათლივ უჩვეულობათა გარდა, სხვა თუ არაფერი, თუნდაც განცხადება „*იერუსალმეთისა და ათონის მთისაკენ მართო სულის საქმე კი არ მიგვიზიდავს, არამედ საერო საქმეც*“ [ჭავჭავაძე, XV 2007: 308] (შდრ. [მესხი, III 1964: 378]), როგორც წინარე მასალიდან აშკარავდება, ილიასათვის უცხოდ ჩანს თვალსაზრისითაც, სათქმელითაც და სათქმელის გამოხატვითაც. ასევე, თუ ილიასეულ ტექსტში მიჩნეულია, რომ ნივთიერი მონაგარი უცხოეთის ქართულ მონასტერთათვის ქართველი მეფეების მიერ შეიწირებოდა „*სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა*“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 546], „დროებისეული“ ტექსტის მიხედვით (— წერილი, საერთოდ, ასე იწყება),

ძველის-ძველისდგანვე ღვთისნიერ ქართველებსა და იმათ მეფეებს ჩვეულება ჰქონიათ, რომ, თავიანთ სულის მოსახსენებლად, ანუ რაიმე საქმეში გასამარჯვებლად, მამულებს, ფულს, ძვირფას ნივთს შესწირავდნენ ხოლმე მონასტრებსა და ან ეკკლესიებს [ჭავჭავაძე, XV: 306] (შდრ. [მესხი, III 1964: 377]).

აშკარაა ორი განსხვავებული აღქმა: თუ „ივერიასეული“ ტექსტის მიხედვით, რომელიც დიდად სავარაუდოა, რომ ილიას ეკუთვნოდეს, შესაწირავი ემსახურებოდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას, „დროებისეულ“ ტექსტში მიჩნეულია, რომ „*მამულის, ფულის, ძვირფასი ნივთების*“ გაღებას განაპირობებდა საკუთარი სულის მოხსენიების ან გამარჯვების მოპოვების სურვილი. ამგვარი დამოკიდებულება უკვე სხვაგვარად წარმოსახვას თავად ივირონის დანიშნულებასაც.

თანხვედრა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ორივე წერილში გამოიხატება სწრაფვა, სამართლიანად დადგინდეს ქართულ მონასტერთა და მათი ქონების მფლობელობის საკითხი, თუმცა იმდროინდელ ქართულ პრესაში ეს საკითხი, ძირითადად, სხვაგვარად არც დამდგარა. თუ „დროებისეული“ ტექსტის სიტყვებით, „*სამართლიანობა თხოულობს, რომ ბერძნის ბერებს ჩამოერთვას ის, რაც იმათ არც ისტორიით, არც კანონით და არც სინდიკით არ ეკუთვნის და ჩაბარდეს ნამდვილ მეპატრონეებს*“ [ჭავჭავაძე, XV 2007: 307] (შდრ. [მესხი, III 1964: 378]), ილია „ივერიასეულ“ ტექსტში მოსაგვარებელ საწუხარს უფრო ფაქიზად, უფრო გონივრულად, საქმისა და ისტორიის უფრო მეტი ცოდნით განბჭობს.

მეტი ცოდნა კი თუნდაც იქ ჩანს, სადაც ილია დაწვრილებით მიმოიხილავს, საბუთებსა და ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით, თუ — ქართველთა

ულონობისა და გადატაკების გამო — როგორ ჩაუვარდა ხელთ საზღვარგარეთულ ქართულ მონასტერთა მთელი ქონება ბერძენ სამღვდელოებას:

საქართველო დაუძღურებული იყო შინაურ და გარეულ მტერთაგან და ხელი შველისა და მფარველობისა ველარ მოეწვდინა ამ მონასტრებისათვის. რადგანაც ამ საუბედურო გარემოების გამო იქაურ ქართველთა იმედი მოესპოთ შველისა და მფარველობისა საქართველოდამ და შური და მტრობა ოსმალთა მეტად აწუხებდათ, [...] იგი მონასტრები ჩააბარეს თანამორწმუნეთა თვისთა ბერძნებსა საპატრონებლად, მათვე გარდასცეს ყოველი მამული და მამულების შემოსავალი, რაც კი რამ ქართველთაგან შეწირული იყო გუჯრებითა [ჭავჭავაძე, VIII: 546-547].

ხოლო „დროებისეული“ ტექსტის მიხედვით კი, ამ მითვისების ისტორია საკმაოდ ბუნდოვანია:

როგორც მონასტერი, აგრეთვე მთელი იმის ქონება და შემოსავალი, ქართული ბიბლიოთეკაც ამჟამად, რაღაც მანქანების ძალით, ბერძნის ბერებს ჩაუგდიათ ხელში და მხოლოდ ისინი სარგებლობენ [ჭავჭავაძე, XV 2007: 306] (შდრ. [მესხი, III 1964: 377]).

მართალია, „დროებაში“ გაკვრით ნახსენებია რუსეთის „დიდი მთავრის, კავკასიის ნამესტნიკის“ „მხურვალე მონაწილეობა“ და მისი წერილი „რუსეთის სტამბოლელ ელჩთან“ [ჭავჭავაძე, XV 2007: 307] (შდრ. [მესხი, III 1964: 377-378]), მაგრამ ტექსტის ავტორი აშკარად ამჟღავნებს, რომ, მისი აზრით, საქმის ქართველთათვის სასიკეთოდ მოგვარების გადამწყვეტ ბიძგად უნდა იქცეს თავად ქართველობის მონდომება, რაც „ხელს უნდა გვანძრევინებდეს ჩვენ, ახლანდელ ქართველებსა და გვაფიქრებინებდეს ამ ჩვენ ძვირფას საუნჯის უკან დაბრუნებაზედ“ [ჭავჭავაძე, XV 2007: 308] (შდრ. [მესხი, III 1964: 378]). გაზეთის მოწინავე წერილი მთავრდება საზოგადოების ვალდებულების კიდევ ერთხელ შეხსენებით: „ჩვენი საზოგადოება ვალდებულია, რითაც და როგორც კი შეუძლიან...“ [ჭავჭავაძე, XV 2007: 308] (შდრ. [მესხი, III 1964: 377]). „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტის ავტორი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმედის საყრდენად რუსეთის მთავრობას ხედავს...

ცხადია, ამ ორ ტექსტს შორის იმდენად თვალშისაცემია დამოკიდებულებათა თუ შეფასებათა, თვალსაწიერის არჩევისა თუ მონაცემთა ცოდნის განსხვავებანი, რომ ფრიად სათუო ხდება „დროებისეული“ ტექსტი ილია ჭავჭავაძეს მიეკუთვნოს, — უფრო მეტად სარწმუნოდ ჩანს აქამდე დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ მისი ავტორია „დროების“ მაშინდელი რედაქტორი სერგეი მესხი (დაწვრილებით ტექსტის ავტორობის შესახებ იხ. [ლაღანიძე 2009:74-80]).

კიდევ ერთი ტექსტი ათონის ქართველთა მონასტრისა და მისი ქონების გამო [ჭავჭავაძე, XIII 2007: 207-209], რომელიც 1896 წლის თებერვალში გამო-

ქვეყნებულა „ივერიაში“⁴ უსათაურო მოწინავე წერილად, ასევე ხელმოუწერელია, თუმცა მისი კუთვნილება ილია ჭავჭავაძისადმი ბევრად უფრო მეტადაა საგულგებელი და დადასტურებული (იხ. [ჭავჭავაძე XIII, 2007: 524]). გამომცემლებმა ამ ტექსტს უწოდეს: „ქართული სამონასტრო მამულები ბერძენი ბერების სამსახურში“.

მსჯელობა აქ შეეხება ბესარაბიის თავადაზნაურობის შეთავაზებას და ერობის გადაწყვეტილებას, ადგილობრივ დაესაკუთრებინათ თავიანთ ქვეყანაში ის დიდძალი მიწები, რომლებიც აღმოსავლეთის მონასტრებში მცხოვრებ ბერძენ სამღვდულოებას ეკუთვნოდა. მას შემდეგ, რაც „ხაზინამ დაიკუთვნა ის მამულები“ [ჭავჭავაძე, XIII 2007: 207], მოპოვებული თანხით აუშენებიათ თუ შეუკეთებიათ სკოლები და ეკლესიები, წამოუწყიათ სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეები, ხოლო „რაც ყოველს ამას ჰრჩება, იმას დღესაც უგზავნიან ბერძნის ბერებს აღმოსავლეთში“ [ჭავჭავაძე, XIII 2007: 207].

ბუნებრივია, საკითხმა საკუთარი სატკივარი — ათონის ქართველთა მონასტერი, მის ბინადართა ხვედრი და მისი შემოსავლის განკარგვა — შეახსენა მოწინავე წერილის ავტორს:

მონასტერი, რომელიც ძველისძველიდანვე ქართველებისა იყო და რომელსაც შესწირეს ქართველებმავე აქაური მამულები, ეხლა ბერძნის ბერებმა დაისაკუთრეს და ქართველი ბერები კი გამოჰყარეს [ჭავჭავაძე, XIII 2007: 208].

რაკი სამართლით ვერაფერი მოგვარდა, სტატიის დასასრულს გაისმის მოწოდება ქართველი თავადაზნაურობის მიმართ, მიჰბადონ ბესარაბიის მაგალითს და ბერძენ მონაზონთა შემოსავალი სკოლებს, ეკლესიებს, ქველმოქმედებას მოხმარდეს, „ან ისევ ჩვენს ბერებს მიეცეთ, ათონის მთაზედ მცხოვრებთა და არა უცხო თესლის ბერებს, როგორც ჩვენთვის ბერძენები არიან“ [ჭავჭავაძე, XIII 2007: 208]. ბერძენთაგან უფრო მძაფრი გამიჯვნა, ალბათ, შეუძლებელია! ამჯერად ილია აღარც მათს „თანამორწმუნეობას“ (იხ. ჭავჭავაძე, VIII 2007: 547) ახსენებს...

რუსების ხსენება კი ამ ტექსტში არსად გვხვდება, სამაგიეროდ, ლაპარაკია ქართველთა ღვაწლზე და წვლილზე. ღირსშესანიშნავია, რომ ქართველთა მონასტრის დანიშნულებაც ამ — ნაციონალური — თვალსაწიერიდანაა დანახული:

ამას ითხოვს სამართალი და მერე იგი სახსოვარი ჩვენთა მამა-პაპათა, რომელთაც ათონის მთაზე ქართველთა და საქართველოს ხსენებისათვის ამოდენა ღვაწლი დასდეს და ამოდენა მამულები შესწირეს და გაიმეტეს [ჭავჭავაძე, XIII 2007: 208].

4 ეს წერილი, სამწუხაროდ, მოხსენიებულიც კი არაა ნარკვევში, რომელიც საგანგებოდ მიმოიხილავს „ივერიის“ გამომხაურებებს ათონისა და მის ირგვლივ გაჩენილ საკითხთა გამო [ჭუმბურიძე 1983].

იმედის წყაროც ამგვრად რუსეთის ხელისუფლება კი არა, ქართველი ხეპური საზოგადოება: „აქ საქმეც საკადრისია თავადაზნაურობისათვის და ღვაწლიც“ [ჭავჭავაძე, XIII 2007: 209]!

თუ ორივე ტექსტი — „ათონის ქართული სავანის შესახებ“ (1886) და „ქართული სამონასტრო მამულები ბერძენი ბერების სამსახურში“ (1896) — დანამდვილებით ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, მაშინ თვალწინ გვაქვს ავტორის რამდენადმე შეცვლილი — ან გამკვეთრებული — ხედვა. შესაძლოა, ათწლიანმა დროითმა შუალედმაც და ათწლიანმა გამოცდილებამაც განაპირობა ეს შესამჩნევი ცვლილებანი...

4

ილია ჭავჭავაძის პოზიციის უკეთ გამოსაკვეთად და, ამასთანავე, იმავე საკითხთა — გამოთქმულის თუ ნაგულისხმების — მიმართ ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების დროით ჭრილში დამოკიდებულების გასარკვევად ან, კიდევ, ეპოქისეულ განსჯათა შემდგომდროინდელი პერსპექტივის წარმოსაჩენად უთუოდ უპრიანი იქნება შესაპირისპირებელი ტექსტის შერჩევა ისევე ქართული ისტორიულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, რისთვისაც საუკეთესო ნიშნულს მოწმობად გამოდგება აკაკი ბაქრაძის ნარკვევი „ქართული ეკლესიის ისტორიის ერთი ფურცელი“ (სავარაუდოდ, 1970-იანი წლების დასაწყისი) [ბაქრაძე, VIII 2006: 125-156]. ტექსტი, რომელიც ავტორის სიცოცხლის განმავლობაში არასოდეს დაბეჭდილა, მწერლის საოჯახო არქივში აღმოჩნდა და პირველად მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, ისიც ნაკლულად (რაკი შემონახულ ხელნაწერს 22 გვერდი აკლდა). სხვათა შორის, მისი გამოუქვეყნებლობა კიდევ უფრო მეტ ფასს სდებს მასში ჩადებულ უწყებას, რაკილა ნაწერს, შესაბამისად, არ გაუვლია კომუნისტური ცენზურის „განმწმედელი“ ქურა.

ასე რომ, ამგვრად წინ გვიდევს ტექსტი, რომლის დაწერის დროა არა XIX, არამედ XX საუკუნე, ხოლო ადგილი — არა რუსეთის იმპერია, არამედ კომუნისტური (და სახელმწიფოებრივად ათეისტური!) საბჭოთა კავშირი.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ქართულად ასე გამოწვლილვით არსად აღწერილა ქართულ-ბერძნულ დაპირისპირებათა ისტორია ათონზე XIX საუკუნის შუახანიდან ვიდრე XX საუკუნის დასაწყისამდე. ფაქტებითა და დოკუმენტური მითითებებით უხვად აღჭურვილი ტექსტით თვალსაჩინოდ იხატება ქართველ მონაზონთა მიმართ ბერძენ მონაზონთა მხრივ ღია თუ ფარული შეტევების დამთრგუნველი სურათი. მაგრამ ამთავითვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აკაკი ბაქრაძეს სრულიადაც არ მიაჩნია ქართულ-ბერძნული დავა ათონის გამო ოდენ სამონასტრო დავიდარაბად ან საკუთრებისათვის ცილობად, — ამ უთანხმოების საფუძველიც და ნიშნადობაც მისთვის ბევრად უფრო ფართოა!

ჯერ უშრადსაღებია, თუ როგორ ხედავდა ივირონის დანიშნულებას აკაკი ბაქრაძე: მისთვის ამ კერის განმსახლვერელი ღირებულება მისი ნაციონალურ-კულტურული მნიშვნელობაა.

უცნაური ამბავი მოხდა მე-18 საუკუნის საქართველოში: შეწყდა არა მარტო მუდმივი კავშირი ათონის ქართულ მონასტერთან, არამედ დაიკარგა ცოდნაც ამ კულტურული ცენტრის შესახებ. [...] მაგრამ დასაზუსტებელია, რა ცოდნა იციან ათონის საერთო რელიგიური მნიშვნელობა. იცნობენ მთაწმინდელ მოღვაწეებს. იციან ისიც, რომ მთაწმინდაზე ქართველთა მონასტერი იყო. არ იციან მხოლოდ ამ მონასტრის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის. ე. ი. არ უწყიან უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი... [ბაქრაძე, VIII 2006: 125].

ამჟამად ჩანს, რა უნდა იყოს, ავტორის თვალსაზრისით, „უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი“ საზომი ივირონის შესაფასებლად; ისიც ნათლად ჩანს, რომ, ილიასაგან განსხვავებით, ბაქრაძისეულ მხერას არ მიიპყრობს ივირონის რელიგიური დანიშნულება, ამ სავანის სულიერი ცხოვრების საფუძველმდებარე საწყისები. მაგრამ XX საუკუნის მწერალს მიაჩნია, რომ ათონის მიმართ XIX საუკუნის „თერგდალეულთა“ (მათ შორის, ალბათ, ილია ჭავჭავაძის) ყურადღებაც ნაციონალურ განზომილებაში უნდა იქნეს გაგებული:

როგორც კი ერთიანი ეროვნული თვითშეგნება კვლავ იღვიძებს XIX საუკუნეში თერგდალეულთა თაოსნობით, ათონისადმი ინტერესიც მაშინვე იღვიძებს და იწყება კიდევ ბრძოლა მთაწმინდის ისევ ქართულ წიაღში დასაბრუნებლად [ბაქრაძე, VIII 2006: 126].

სხვა საკითხია, თუ როგორ აფასებს აკაკი ბაქრაძე რუსეთის როლს ქართულ-ბერძნული დავისას, — რუსეთის მთავრობისა, რომელიც ივირონის დაბრუნებისათვის მებრძოლებს XIX საუკუნეში გულშემმატიკივარ და საიმედო მოსარჩლედ წარმოედგინათ. ბაქრაძისეული პასუხი მკაფიოა: რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს არამც და არამც არ წარმართავდა სწრაფვა ქართულ საჭიროებათა დასაცავად, „ამ ორომტრიალში ნათლად გამოიკვეთა, რომ რუსეთის მიზანი სხვა იყო, საქართველოსი — სხვა“ [ბაქრაძე, VIII 2006: 155].

ნარკვევის ავტორს მიაჩნია, რომ არა მარტო რუსების ჩანაფიქრით, არამედ საქმეთა რეალური მდგომარეობითაც,

„ივირონი“ თავის ოდინდელ პატრონს კი არ უნდა დაბრუნებოდა, არამედ რუსებს [ბაქრაძე, VIII 2006: 153];

„ივირონს“ ქართველებს არავინ დაუბრუნებდა. უბრალოდ, იგი რუსებით აივსებოდა და გარუსდებოდა. ისე, როგორც შიგ საქართველოში იყო გარუსებული ქართული ეკლესია-მონასტრები [ბაქრაძე, VIII 2006: 155].

ბერძენ მონაზონთა მხრივ შეუწელებელ გასასტიკებათა გრძელი წყები-სათვის თვალის გადავლების შემდეგ, აკაკი ბაქრაძე სვამს კითხვას, რომლითაც ცდილობს ჩასწვდეს „თანამორწმუნე“ [ჭავჭავაძე, VIII 2007: 547] ბერძენთა ამგვარი გულჭვაობის მიზეზს ქართველთა მიმართ:

საინტერესოა, მაინც რა იყო ბერძენთა ასეთი გამწარების მიზეზი? რატომ უწევდნენ ისინი ასეთ გაშმაგებულ წინააღმდეგობას ქართველების ისტორიულად კანონიერ მოთხოვნილებას? [ბაქრაძე, VIII 2006: 153].

პასუხიც ნაპოვნია: ბერძნები გრძნობდნენ ივირონისა და, შემდგომ, მთელი ათონის მოსალოდნელი გარუსების ხელშესახებ საფრთხეს. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ

რუსეთს უნდოდა [...] მთელი ათონი ჩაეგდო ხელთ. „ივირონის“ ქართველებისათვის დაბრუნება რუსეთს ათონზე კიდევ ერთ მტკიცე დასაყრდენს აძლევდა. ამას ბერძნები კარგად ხედავდნენ და ყოველგვარად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველების სახით რუსების „ივირონში“ გაბატონებას [ბაქრაძე, VIII 2006: 155].

ამ შემთხვევაში შესაძლო დაჩაგვრის საშიშროება ბერძნებს ემუქრებოდათ, მაგრამ შესაძლო მჩაგვრელთა — რუსების — მომხრეებად და ხელშემწყობებად ქართველები აღმოჩნდებოდნენ: დაპირისპირების ერთ მხარეს ბერძნები იდგნენ, მეორე მხარეს — ქართველები და რუსები, ერთად...

მაგრამ აქ ამჯერად არაფერია ნათქვამი ქართველთა და ბერძენთა საუკუნოვან ურთიერთშეთავსებლობათა, შეუთანხმებლობათა, დაპირისპირებათა შესახებ, რაც, როგორც უტყუარადაა დადასტურებული, გაღვივდა მანამ, სანამ მათ შორის რუსი შუამავლები და „მშვიდობიანი მომრიგებლები“ [ბაქრაძე, VIII 2006: 155] გაჩნდებოდნენ.

სად იყვნენ რუსები მაშინ, — არათუ ათონზე, — როცა XI საუკუნეში გიორგი ათონელი წერდა:

ვინაიდან ბერძენთა ესევიტარი ჟამი პოვეს, ჭელ-ჟვეს ყოვლითა ღონის-ძიებითა, რაითამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოფხუზრნეს. [...] და მრავალი შრომაჲ და ჭირი და რუდუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს [ძეგლები, II 1967: 93-94].

ანდა:

ჟამი პოვეს ბერძენთა, და ვითარცა ცეცხლნი აღეფხნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპურობაჲ სამკჯდრებელისა ჩუენისაჲ [ძეგლები, II 1967: 95].

აკაკი ბაქრაძეს მკაფიოდ ახსოვდა ათონის ქართველთა მონასტრის ისტორია, მკაფიოდ ხვდებოდა ამ ისტორიის წარუვალ სიმბოლურ მნიშვნელობას, მკაფიოდ ესმოდა მონასტრის ფუძემდებელთა გულისნადები და სწრაფვანი, და კიდევ, რაც ღირსშესანიშნავია, მას არასოდეს ავიწყდებოდა, თუ ვის საწადელს ახორციელებდა „მესამე რომი“ და ისიც, თუ როგორი საფანელი შესძინა ბიზანტიელმა წინაპარმა რუს მემკვიდრეს... ამიტომაც ამბობს იგი ასე მკვეთრად, თუნდაც ანაქრონიულად, მაგრამ ისტორიული პერსპექტივის საღი ხედვით: „დიდი მთაწმინდელების ანტიბიზანტიზმი გულისხმობ-

და ანტირუსიზმს“ [ბაქრაძე, VIII 2006: 126], — ნათქვამია უხეშად, მაგრამ უჭოჭმანოდ; ანაქრონიზლობა კი, ამ შემთხვევაში, ქრონოლოგიის წილ ათასწლოვანი სატიკერის ძირეული არსის ჭვრეტის შესაძლებლობას იძლევა... ათონელი ქართველი მამები მწერლისათვის იმდენადვე არიან ბიზანტიური კირთებისაგან თავდახსნის მოსურნენი, რამდენადაც რუსული კირთებისაგან განთავისუფლების წინამორბედნიც...

რაკი ამ თვალსაწიერიდან უყურებდა აკაკი ბაქრაძე XIX საუკუნეში ათონზე ქართველების ხელახლა დამკვიდრების მცდელობას, რომლის შედეგი აღმოჩნდა ის, რომ „50-წლიანი ბრძოლა „ივირონის“ დასაბრუნებლად ქართველთა სრული მარცხით დამთავრდა“ [ბაქრაძე 2006: 152]), მას აღარ გასჭირვებია, გარკვევით შეენიშნა ამ ხანგრძლივი და უნაყოფო ბრძოლის — ბერძენთა წინააღმდეგ, რუსების მხარდაჭერით — არა მარტო ტრაგიკული, არამედ კომიკური (!) მხარეც:

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, როცა თავად საქართველოში არ იყო მოწესრიგებული სამონასტრო ცხოვრება, „ივირონისათვის“ ბრძოლა სასაცილო იყო, თუ მეტი არა [ბაქრაძე, VIII 2006: 154].

და კიდევ:

ქართველების მიზანი იყო, დაებრუნებინათ ის, რაც ისტორიულად ეკუთვნოდათ და ამით ეროვნული პრესტიჟი აღედგინათ. იმას კი აღარ დაგიდევდნენ, რომ ბატონის ხელში ბრმა იარაღი იყვნენ. ამიტომ მთელი ეს ისტორია უაზრო ბრძოლისა და ენერჯის ხარჯვის იშვიათი ნიმუშია [ბაქრაძე, VIII 2006: 155].

ამგვარია ათონისათვის ქართველთა მრავალწლიანი ბრძოლის შეფასება, — ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, მწერლისა და მოღვაწის განაჩენი მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა!

ბიზანტიური მემკვიდრეობის საკითხს საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობაში აკაკი ბაქრაძე შემდგომ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ნარკვევში „დავიწყებული იდეა“ (1987) [ბაქრაძე 2004: 454-478].

ტექსტი დამუხტულია შეუფარავი სწრაფვით ბიზანტიისაგან, უოველივე ბიზანტიურისაგან ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების გასათავისუფლებლად, რაც „ქართული იდეის“ გადარჩენის, გაცხოველებისა და დამკვიდრების აუცილებელ საწინდრადაა დასახული.

ქართული პოლიტიკური იდეა რომ სრულად განხორციელდეს, აუცილებელია ბიზანტიის გავლენისაგან თავდაღწევა [...]; თუ საქართველოს საკუთარი ეროვნული ენერჯის გამოვლენა უნდოდა, იგი უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის მეურვეობისაგან [ბაქრაძე 2004: 461].

ამჯერადაც, ათონის გამო ბრძოლა „დავიწყებული იდეის“ ავტორისათვის ისევ არაა სამონასტრო შფოთის ან შუღლის საკითხი, — ესაა „ბიზან-

ტიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც დიდმა მთაწმინდელებმა დაიწყეს“ [ბაქრაძე 2004: 462].

ქართული ტრადიციის ძირად აკაკი ბაქრაძე ბიზანტიური მემკვიდრეობისაგან მოუწყვეტლობას მიიჩნევდა:

მართალია, საქართველომ ისლამურ ჩიხს თავი დააღწია, მაგრამ მან ვერ მოიცილა ძველი, შინაგანი სენი, რომელსაც ბიზანტიზმის ერთგულება ეწოდება [ბაქრაძე 2004: 474].

ბიზანტია ნელ-ნელა კვდებოდა. მისი კულტურის გარეგნული ბრწყინვალეობა შინაგანად ატარებდა ხრწნადი სხეულის მომაკვდინებელ ოხ-შევარს. ჩვენს ისტორიაში ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმინდელი და დავით აღმაშენებელი ხედავენ, უფრო გვიან — სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათალიკოსი, მეცხრამეტე საუკუნეში — ნიკო ნიკოლაძე [ბაქრაძე 2004: 476].

ნიშანდობლივია, რომ ამ ჩამონათვალში, რომელიც დიდი ათონელი მამის სახელით იწყება, აკაკი ბაქრაძე არ ახსენებს ილია ჭავჭავაძეს, — შესაძლოა, იმის გამოც, რომ ილია ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან მიჯნავდა ბიზანტიასა და რუსეთს, აკაკი ბაქრაძე კი მათ შორის არსებრივ გაგრძელებასა და მემკვიდრეობითობას ხედავდა; იგი იმასაც ხედავდა, რომ ჩვენს სამშობლოს ორივე მხრივ გამანადგურებელი საფრთხე მოელოდა და მოელის...

დღიდან დაფუძნებისა, არცთუ იშვიათად იჩრდილებოდა ათონის უპირველესი მოწოდება და დანიშნულება, — მისი სულიერი შინაარსი: ქრისტიანი ადამიანის შინაგანი ზრდა და ღმრთივმიზაძული სრულყოფილებისაკენ მავალობა. სხვადასხვა დროსა და გარემოში ძალას ინარჩუნებდა წმიდა მთის სარწმუნოებრივი მიხანდასახულობა, მაგრამ, ამავე დროს, იქ ყოველთვის მკვეთრად იგრძნობოდა ეროვნული მეობის გამოხატვის მუხტი: თუ ქართველთათვის ადრეც და მოგვიანებითაც ივირონი ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული კულტურის განმტკიცების კერა იყო, ბერძნებიცა და რუსებიც ათონის მონასტრებს საკუთარი ნაციონალური დამკვიდრების ადგილად მიიჩნევდნენ; იმავე მნიშვნელობას ანიჭებდნენ ათონზე ყოფნას სერბებიც, ბულგარელებიც, რუმინელებიც... ამჟერადაც თვალნათლივ ცხადდებოდა აღმოსავლურქრისტიანული სამყაროსათვის ჩვეული სარწმუნოებრივ-ნაციონალური შერწყმა...

XIX საუკუნის ბოლოს ილია ჭავჭავაძე, რომელიც „ივერიის“ ფურცლებზე რამდენჯერმე გამოეხმაურა წმიდა მიწისა და ათონის ქართული სავანის საკუთრების საკითხს, მონასტრის უპირველეს ღირებულებად რაცხდა მის სულიერ დანიშნულებას „ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმე“-ში [ჭავჭავაძე 2007: 545]. ილიას აზრით, ათონზე ქართველ მოწესეთა ყოფნა იქნება საწინდარი, რათა შენარჩუნებული იქნეს „სიმტკიცე ქრის-

ტიანულის გრძნობისა [...] სახელოვან სასულიერო საქმეთათვის“ [ჭავჭავაძე 2007: 548]. ათონის გამო გაჩაღებულ ქართულ-ბერძნულ დავაში კი ქართულ საჭიროებათა შესაძლო დამცველად დანახულია რუსეთის სახელმწიფო.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ აკაკი ბაქრაძე, რომელმაც ვრცლად აღწერა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ათონელ ქართველთა და ბერძენთა ურთიერთდაპირისპირება (რუს მოხელეთა მეთვალყურეობით), მიიჩნევდა, რომ გადამწყვეტი იყო „ამ მონასტრის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის“, — მისი აზრით, ესაა „უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი“ [ბაქრაძე 2006: 125]. მისთვის უეჭველია, რომ ქართველთა სატიკოსის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი ბიზანტიის სულიერი მემკვიდრენი: როგორც ბერძნები, ისე რუსები, — თუნდაც ამ შემთხვევაში ერთნი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველ მოწესეებს, მეორენი კი მფარველობდნენ მათ. ეს რუსული მზრუნველობაც, მწერლის თვალსაზრისით, მხოლოდ და მხოლოდ იმპერიის სახელმწიფო ინტერესებით საზრდოობდა.

დასასრულ, ათონის ივირონის მნიშვნელობის განსასაზღვრად სასარგებლოდ ჩანს აკადემიური წყაროს დამოწმება, რომელიც თვალნათლივ გამოხატავს XX საუკუნის მიწურულის ხედვას, — იმ დროისათვის გაწონასწორებულ, ხოლო მომავალ კვლევათათვის კი პერსპექტიულ თვალსაზრისს:

ივირონი ქართველთათვის არ იყო მხოლოდ განდევილ ბერთა თავშესაფარი. იგი დიდ მამულებელთა რუდუნებით X საუკუნის დასასრულიდანვე ქართული კულტურის უდიდეს კერად იქცა. [...] ქართული მონასტრის მკვიდრთათვის დამახასიათებელი გახდა მოღვაწეობა არა მხოლოდ ღვთის სადიდებლად, არამედ ამქვეყნიური, ადამიანური საქმეების წარსამართავად“ [ხინთიბიძე 1983: 294];

ათონის ქართული მონასტრის მკვიდრთა მოღვაწეობას იმთავითვე ორი სპეციფიკური ნიშანი ჰქონდა: პირველი მათგანი ამ მოღვაწეობის ეროვნული შინაარსი იყო [ხინთიბიძე 1983: 295];

ათონის მთის ქართველ ბერ-მონაზონთა მოღვაწეობის მეორე სპეციფიკური ნიშანი მწიგნობრული საქმიანობა იყო [ხინთიბიძე 1983: 296].

ხელახალი შესწავლა იმ პირველადი ტექსტებისა, რომლებშიც ასახულია ათონის ქართველთა მონასტრის ცხოვრება, იქაური სულიერი, ინტელექტუალური თუ საზოგადოებრივი გარემო, ცალკეულ მონაზონთა პიროვნული ღვაწლი და მისწრაფებანი, კავშირები და მიმართებანი, ამას გარდა, კვლევების გაშლა ახალი თუ განახლებული მეთოდებით და, რაც მთავარია, აქამდე გამოუყენებელი ჰერმენევტიკული ხერხით, რომელიც გათავისუფლებული იქნება იდეოლოგიური შაბლონებისა თუ სტერეოტიპებისაგან, საშუალებას იძლევა, დღეს უფრო შესაბამისად და ერთიანად, უფრო ცხადად და ჯეროვნად წარმოჩნდეს ივირონის სულიერი სამყარო.

მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას: ათონის გამო ბრძოლა არ უოფილა ოდენ ბრძოლა (ან უფრო დავა) ბერძენ ბერებთან მათ მიერ მითვისებული შენობებისა თუ ქონების დასაბრუნებლად, — ეს იყო და არის ბრძოლა ათონის ქართველთა მონასტრის მნიშვნელობისა და შინაარსის, მისი დანიშნულებისა და მოწოდების, მის სამემკვიდრეო უფლებათა დასაბრუნებლად, ჩასაწვდომად, გამოსამზეურებლად.

დამოწმებანი

- ბაქრაძე, II 2004:** აკაკი ბაქრაძე, *თხზულებანი*, ტ. II, თბ.: ნეკერი; ლომისი, 2004.
- ბაქრაძე, VIII 2006:** აკაკი ბაქრაძე, *თხზულებანი*, ტ. VIII, თბ.: ნეკერი; ლომისი, 2006.
- მენაბდე, II 1980:** ლევან მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, თბ.: თსუ გამ-ბა, 1980.
- მესხი, III 1964:** სერგეი მესხი, *თხზულებანი სამ ტომად*, ტ. III, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1964.
- ლაღანიძე 2009:** მერაბ ლაღანიძე, „ვის ეკუთვნის „დროების“ სარედაქციო წერილი ათონის გამო?“, *ლიტერატურული ძიებანი*, XXX, 2009.
- ყიფშიძე 1987:** გრიგოლ ყიფშიძე, „ილია ჭავჭავაძე 1837-1907 (ბიოგრაფია)“, *ილია* (მოგონებები გარდასულ დღეთა), თბ.: მერანი, 1987.
- ძეგლები, II 1967:** *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ.: მეცნიერება, 1967.
- წერეთელი, V 1956:** აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*, ტ. V, თბ.: სახელმწიფო გამ-ბა, 1956.
- ჭავჭავაძე, VIII 1957:** ილია ჭავჭავაძე, *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, ტ. VIII, თბ.: სახელმწიფო გამ-ბა, 1957.
- ჭავჭავაძე, VIII 2007:** ილია ჭავჭავაძე, *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*, ტ. VIII, თბ.: ილიას ფონდი, 2007.
- ჭავჭავაძე, XIII 2007:** ილია ჭავჭავაძე, *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*, ტ. XIII, თბ.: ილიას ფონდი, 2007.
- ჭავჭავაძე, XV 2007:** ილია ჭავჭავაძე, *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*, ტ. XV, თბ.: ილიას ფონდი, 2007.
- ჭუმბურიძე 1983:** ლუიზა ჭუმბურიძე, „გაზეთი „ივერია“ ათონის ქართული სავანის შესახებ“, *ივირონი* — 1000, თბ.: თსუ გამ-ბა, 1983.
- ხინთიბიძე 1983:** ელგუჯა ხინთიბიძე, „ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის“, *ივირონი* — 1000, თბ.: თსუ გამ-ბა, 1983.

**Ilia Chavchavadze in the Struggle
for Mount Athos:
Mission of the Iviron and Georgian-Greek Dispute**

Merab Ghaghanidze

Ilia Chavchavadze lively responded to the acute problems of his contemporary Georgian society in the columns of the press, including the problem of ownership of the Georgians' Iviron Monastery on the Mount Athos, which, as a matter of fact, was founded by the Georgians, but by that time, owing to historical events, was owned by Greek monks. Little by little, the Georgian ecclesiastic and secular circles started hoping of having this ancient possession of the Georgians back. As Georgia was a part of the Russian Empire then, these hopes were pinned on the support to be rendered by the Russian State and Church.

Right from the outset, the Monastery on the Mount Athos had been a significant centre of the spiritual life of the Byzantine world, with the representatives of different peoples of this world realizing and introducing the ideals of the Christian cloister. By the time the first Georgian monks settled there, besides the cloisters of the Eastern Rite, and Iviron among them, there was also a Western-Latin monastery on Mount Athos. The Georgians of Athos found themselves opposed by the Greeks right from the beginning; on the other hand, as far as an opportunity occurred, they tried to express a friendly attitude to their Western fellows.

Until the late middle centuries, the spiritual value of the Monastic centre on the Mount Athos and spiritual and intellectual merits of the Georgian monks of the Monastery were clearly recognized by the Georgian social consciousness, but with the historical and actual feeling of the significance of the publishing and cultural activity prospered in the Iviron gradually fading. However, the Georgian-Greek opposition was still stiff by that time and was openly expressed in the life and verbal pursuits.

The secularization of the Georgian society and steady introduction of secular values to the social consciousness in Georgia of the XIX-XX centuries eclipsed the consciousness of the spiritual appeal of Mount Athos. Under the given circumstances, an opinion representing the Georgians' Monastery on Mount Athos as primarily the place to introduce and express the Georgian national self-consciousness gradually emerges. Such a perception is naturally opposite the Greek and generally, Byzantine and post-Byzantine attitude towards the aim of the cloister on the Mount Athos.

If, even in the societal standpoint of the XIX century, the Iviron was mostly founded to inspire cultural and literary activity, in terms of the Communist ideo-

logy, the spiritual value of the Monastery was even more ignored, however, with the cultural designation of the Iviron strongly accented, which, like any other Georgian monastery in Georgia or abroad was, in the first instance, declared the hearth of the national publishing and cultural activity.

The work, aiming at demonstrating the kind the Georgian-Greek arguments for the Iviron or even for the Georgians' re-establishment on the Mount Athos taking place in the second half of the XIX century and at the beginning of the XX century were reflected in the societal consciousness of the epoch, deals with the historical-journalistic articles about the Georgian Monastery on Mount Athos by Ilia Chavchavadze. For the comparison purposes with the standpoint expressed in the given articles, Ilia Chavchavadze referred to the opinions of Sergei Meskhi and Akaki Tsereteli about the mission of the Iviron as those of his contemporaries. Among the XX-century materials, the work „One page of the History of the Church of Georgia“ and several articles by Akaki Bakradze demonstrating the author's national-journalistic approach to the mission of the Mount Athos are paid particular attention to.

Ilia Chavchavadze, who in the columns of 'The Iveria' responded to the problem of ownership of the Georgian cloisters on the Holy Land and Mount Athos, thinks that it is the spiritual value of the cloisters being of a primary importance in „consolidating and strengthening the Christ's Faith“. In his opinion, the presence of the Georgian ecclesiastics on the Mount Athos will be the precondition to „preserve the strong feeling of Christianity“ and to commit „famous spiritual deeds“. It is important to note that Ilia Chavchavadze never mentions any cultural or literary importance of the Georgians' Monastery on Mount Athos. He clearly sees the most important and primary aim and mission of this hearth and Georgian cloisters generally, as spiritual. As for the Russian State or ecclesiastic government, in connection to the dispute with the Greeks, they are seen as a defender of the interests of the Georgians. The text by Ilia Chavchavadze clearly demonstrates two parties with different approaches to the needs of the Georgians - whereas one party is represented by a Greek Patriarch of Jerusalem and his representatives in the Caucasus adhering to the position of complete disregard of the Georgians' needs and undisguised violence, another party opposing them must be possible defenders of the Georgians, who are the Ruler of the Caucasus and State Chancellor of Russia.

The work also deals with two texts dedicated to the problem of ownership of the Georgians' monastery on the Mount Athos, published in the Georgian press, with Sergei Meskhi considered as their author in the past, but recently, the texts have been included in Ilia Chavchavadze's Selections (twenty-volume academic edition). The analysis of the form and substance of the texts makes it doubtful if the author of the texts is really Ilia Chavchavadze.

In the XX century, a Georgian publicist and researcher Akaki Bakradze, who thoroughly considers the opposition between the Georgians of Athos and the Greeks throughout the XIX century and at the beginning of the XX century, thinks that the importance of Mount Athos was decisive „for the originality of the Georgian culture

and nationality“. In his opinion, this is something „principal and most important“. However, the principal point is that the spiritual successors of Byzantium, both the Greek and Russians, show hostility to the Georgians' ailment, even if the former oppose the Georgian monks severely and the latter protect them. This Russian patronage, in the historian and publicist's opinion, was in the state interest of the Russian Empire.

The struggle for Mount Athos was not a mere dispute with the Greek monks to have the buildings and property misappropriated by them back, but at the same time, it was the struggle to restore and penetrate the significance and mission of the Georgian's Monastery on the Mount Athos.